# საქართველოს კურორტები





საქართველოს აქვს მეტად ხელსაყ-
რელი ბუნებრივი პირობები საკურორ-
ტო მეურნეობის განვითარებისათ-
ვის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში
ჩვენი რესპუბლიკა გახდა საკავშირო
მნიშვნელობის ჯანმრთელობის კერად.



საქდუსის ფუტუნქრონეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალტუბო

№ 6 წყაროსთან





ახალი სანატორიუმი „იმერეთი"

საქართველოს სსრ მდიდარია სხვადასხვა ჯიშის მინერალური წყაროებით. სულ რესპუბლიკაში მათი რიცხვი ათასამდე აღწევს. ზოგიერთ წყაროს უდიდესი დებიტი აქვს. მაგალითად, წყალტუბოს წყაროებს აქვს დღეღამეში თითქმის ორი მილიონი ლიტრი დებიტი. სამკურნალო რადიოაქტიურმა წყაროებმა სახელი გაუთქვეს წყალტუბოს მთელ მსოფლიოში.



საქტასის ფოტოქრონიკა

# ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ

საკურორტო პარკის ხედი



სანატორიუმ „წყალტუბოს" სკვერი



წყალტუბოს ჰავა თბილი და ზომიერად ტენიანია. ხელსაყრელი კლიმატური პირობები შესაძლებლობას აძლევს კურორტს იმუშაოს მთელი წლის განმავლობაში. უკანასკნელ წლებში აქ აიგეს ჯანმრთელობის შესანიშნავი კერები, სააბაზანო შენობები და სამკურნალო დაწესებულებანი.



საქდფესის ფოტოქრონიკა

# ბორჯომი

მდინარეების — მტკვრის, ბორჯომულას და გუჯარეთის — წყლის ულამაზეს ხეობაში, თბილისიდან 150 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს კურორტი ბორჯომი, რომელსაც სახელი გაუთქვა მისმა მინერალურმა წყლებმა. ბორჯომის წყალი თავისი შემადგენლობით ჰგავს კურორტ ვიშის (საფრანგეთი) წყლებს, მაგრამ უფრო მაღლა დგას მათზე, ვინაიდან ბორჯომის წყალში მეტია იოდის მარილები.



სანატორიუმ ტბის პარკ-ბაღი კოდა



სანატორიუმი „ფირუზა"



სანატორიუმ „ლიკანის" ვერანდა

ფურცელი 4

საქართველოს ფოტოქრონიკა

# გაგრა



კურორტის ხედი



სანატორიუმი „უკრაინა"

გაგრა საკავშირო მნიშვნელობის კურორტია. ყოველწლიურად აქ დასასვენებლად და სამკურნალოდ ათი ათასობით კაცი ჩამოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.



საქდესის ფოტოქრონიკა

# გაგრა



სანატორიუმი „საქართველოს"
გაგრა

დამსვენებელთა მომსახურებისათვის აქ არის საუკეთესო სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სამკურნალო დაწესებულებათა ფართო ქსელი, ტურისტუ-ლი ბაზა.



გაგრის ტურისტული ბაზა



საქდღეხის ფოტოქრონიკა

# ბათუმი



ბათუმის ქუჩაზე

ზღვისპირა პარკი



ბათუმი—აჭარის ასსრ დედაქალაქი—საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო საკურორტო ქალაქია შავი ზღვის სანაპიროზე. კამკამა მზე და რბილი ჰავა იზიდავს აქ ათასობით დამსვენებელს.



საქტაგის ფოტოქრონიკა

# სოხუმი



ლენინის ქუჩა

აფხაზეთის ასსრ დედაქალაქი სოხუმი—ქალაქი-კურორტი, ქალაქი-პარკია. იგი საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი საუკეთესო და კეთილმოწყობილი კურორტია.



სანაპიროს ერთ-ერთი კუთხე



საქდესის ფოტოქრონიკა

# სოხუმი



პლაჟის ხედი

სოხუმის საუკეთესო სანაპირო ნაწილში მოწყობილია სამედიცინო პლაჟი, სადაც აშენებულია პავილიონი საექიმო კაბინეტებით, გასახდელი კაბინები, ფარდულები. პლაჟის მახლობლად არის ტურისტული ბაზა.



სოხუმის ტურბაზა



საქტასის ფოტოქრონიკა

# გუდაუთა



ქალაქ გუდაუთის ერთ-ერთი ქუჩა

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო კურორტებს შორის სულ მეტ სახელს იხვეჭს გუდაუთა. კურორტის პოპულარობის ზრდას ხელს უწყობს ამ ადგილების სუბტროპიკული ჰავა და მცენარეულობის სიმდიდრე.



სანატორიუმი „მეშახტე"



საქტესის ფოტოქრონიკა



ტბის და პანსიონატ „რიწის" ხედი

# რიწა

შესანიშნავი საავტომობილო გზა მიდის გაგრიდან მდინარე ბზიფის ხეობის გავლით აფხაზეთის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხისაკენ—რიწა—ავადხარის საკურორტო რაიონში.

რიწისკენ მიმავალი გზა



მგზავრის თვალწინ იშლება ბუნების დიდებული სურათები: გზა შემორტყმულია ხან რუხი, ხან კიდევ სოჭის მწვანე ტყეებით დაფარული მთებით. ხეობებში კი გზას იკვალავენ მთის მჩქეფარე მდინარეები. გზა მიემართება სულ ზევით—რიწის ტბისკენ, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 950 მეტრის სიმაღლეზე. დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის ტბის ნაპირას გახსნილია პანსიონატი.

# ახალი ათონი

კურორტ ახალ ათონში შეხამებულია ორი მიკროკლიმატური ზონა: ზღვისპირა და მაღალმთიანი, რაც შესაძლებლობას აძლევს დამსვენებლებს გამოიყენონ კომბინირებული მკურნალობა ზღვისა და მთის ჰაერით.



ზღვისპირა პარკის ერთ-ერთი კუთხე



სანატორიუმ „აფხაზეთის" შენობა



საქტაგის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქობულეთი



საბავშვო სანატორიუმის პლაჟი

ზღვისპირა კლიმატური კურორტი ქობულეთი პოპულარულია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. სამხრეთის კაშკაშა მზე, თბილი ზომიერად ტენიანი ჰავა, რბილი სუბტროპიკული ზამთარი და მშვენიერი პლაჟი იზიდავს აქ აუარებელ დამსვენებელს.



სანატორიუმი „კოლხი"

# მახინჯაური

დასასვენებელი სახლი „მახინ-ჯაური"



ახალი დასასვენებელი სახლი „მზიური"



ფურცელი 14

ბათუმსა და მწვანე კონცხს შორის პარკების ხშირ მწვანეში მდებარეობს კურორტი მახინჯაური. მას აქვს კარგი საბანაო და მზის აბაზანების მისაღები პლაჟი, თბილი მინერალური წყაროები.

საქდესის ფოტოქრონიკა

# აბასთუმანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ობსერვატორიის [illegible] ხელოვ-ნურ თანამგზავრების დაკვირვების სადგური.





სანატორიუმი „აჭარა"

ხშირი წიწვიანი ტყეებით დაფარულ თვალწარმტაც მთებში, აჭარა-იმერეთის ქედის ერთ-ერთ ხეობაში, ზღვის დონიდან 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს სამთო-კლიმატური კურორტი აბასთუმანი. მისი სუბალპური, ზომიერად მშრალი ჰავა კეთილად მოქმედებს ფილტვების დაავადების მკურნალობაზე. აბასთუმანში მუშაობს ჩვენს ქვეყანაში კარგად ცნობილი ასტროფიზიკური ობსერვატორია.

ფურცელი13

საქტაგის ფოტოქრონიკა




ბიჭვინთა მდებარეობს გაგრიდან 25 კილომეტრის დაშორებით. აქ არის რელიქტური ფიჭვის შესანიშნავი კორომი, რომელიც გადაჭიმულია ზღვის პირას თითქმის 200 ჰექტარ ფართობზე. ბიჭვინთაში ამჟამად მიმდინარეობს დიდი საკურორტო მშენებლობა.

სურათზე: რელიქტური კორომის ხედი ზღვიდან.



საქტესის ფოტოქრონიკა

# ჯავა

კურორტ ჯავის ხედი



სანატორიუმი № 1



სამხრეთ ოსეთში, მდინარე ლიახვის ლამაზ ხეობაში, ფიჭვებით დაფარულ მთებს შორის მდებარეობს კურორტი ჯავა. იგი ცნობილია „ესენტუკის" ტიპის მინერალური წყლებით, რომლებსაც იყენებენ სასმელად და აბაზანებისათვის.



საქტაგის ფოტოქრონიკა

# ღალიძგა



სანატორიუმის ერთ-ერთი კორპუსი

აფხაზეთის ასსრ მაღალ მთებში, მდინარე ღალიძგის თვალწარმტაც ხეობაში აღმართულია ტყვარჩელელ მაღაროელ-თა სანატორიუმის „ღალიძგის" კორპუსები.



[illegible] სანატორიუმის [illegible]

ფურცელი 18

საქტესის ფოტოქრონიკა




უკანასკნელ წლების მანძილზე სახელი გაითქვა ბალნეოლოგიურმა კურორტმა საირმემ, რომლის მინერალურ წყლებს იყენებენ თირკმელების, ღვიძლის დაავადებათა სამკურნალოდ.

სურათზე: კურორტ საირმეს ხედი.

ფურცელი 19 საქტასის ფოტოქრონიკა




რაიონულ ცენტრის ცხაკაიას მახლობლად მდებარეობს საქართველოს ახალგაზრდა ბალნეოლოგიური კურორტი მენჯი.
სურათზე: სანატორიუმი „მენჯი“.



საქტაგის ფოტოქრონიკა




გურჯაანის მახლობლად მდებარეობს კურორტი ახტალა. ახტალის ტალახს, რომელიც ეკუთვნის ვულკანურ ჯგუფს, იყენებენ მოძრაობის ორგანოების, ნერვული სისტემისა და კანის დაავადებათა სამკურნალოდ.
სურათზე: დასასვენებელი სახლი „ახტალა".



საქდესის ფოტოქრონიკა




კიკეთი—თბილისის გარეუბნის შესანიშნავი საბავშვო კურორტია. აქ ყოველწლიუ-
რად ისვენებს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა ათასობით ბავშვი.
სურათზე: დასვენების კომბინატის სააგარაკო კორპუსები კიკეთში.

ფურცელი 22

საქდესის ფოტოქრონიკა




ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲙᲕᲔᲠᲔᲗᲘᲡ (ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲬᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲐᲥ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲓᲐᲛᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲙᲕᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲓᲘ.



საქტაგის ფოტოქრონიკა




შოვი მდებარეობს მარადმწვანე მთებში, რომლებიც დაფარულია ხშირი წიწვიანი ტყეებით. შოვი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია და ძირითადად ემსახურება რესპუბლიკის მოსახლეობას.

სურათზე: ვერტმფრენმა ჩამოიყვანა შოვში დამსვენებელთა ჯგუფი.



საქტაგის ფოტოქრონიკა

# ბაკურიანი



ნორჩი მოთხილამურეები

ბაკურიანი მდებარეობს ზღვის დონიდან 1654 მეტრის სიმაღლეზე. აქ გადის ალპური ზონის ქვედა საზღვარი. ზამთარში მოდის საკმაოდ დიდი თოვლი. ბაკურიანში ზაფხულს ატარებს ათასობით თბილისელი, ზამთრობით კი კურორტზე მოქმედებენ სამთოსათხილამურო ბაზები, რომლებიც იზიდავენ აქ სათხილამურო სპორტის ოსტატებს და მოყვარულებს.



კურორტ ბაკურიანის ხედი